სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	1. ჯანი - ფენიქსი 09/09/2023 2. კოლხი რაინდები - ჯანი 01/10/2023 3. ჯანი - ზუგდიდი 08/10/2023 4. ჯანი - მეკობრეები 27/10/2023 5. აიეტი -ჯანი 05/11/2023		
გუნდი	ჩოხატაურის „ჯანი“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	1. 09/09/2023 2. 01/10/2023 3. 08/10/2023 4. 27/10/2023 5. 05/11/2023	მატჩის ადგილი	1. ოზურგეთი 2. ფოთი, პარკი არენა 3. ჩოხატაური 4. ჩოხატაური 5. ვანი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ჩოხატაურის „ჯანი“		
☐მატჩის ოფიციალური პირი ☒პიროვნება	ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელი -როლანდ ჩაჩავა	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3. ფიქსირებული სანქციები. 2. **თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის მონაწილეობა თამაშში.**	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	22/03/2024	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	1. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელის, როლანდ ჩაჩავას საითინგი 2. ჯანი - ფენიქსი 09/09/2023 მატჩის ოქმი; 3. კოლხი რაინდები - ჯანი 01/10/2023 მატჩის ოქმი; 4. ჯანი - ზუგდიდი 08/10/2023 მატჩის ოქმი; 5. ჯანი - მეკობრეები 27/10/2023 მატჩის ოქმი; 6. აიეტი -ჯანი 05/11/2023 მატჩის ოქმი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელის, როლანდ ჩაჩავას საითინგი
2. ჯანი - ფენიქსი 09/09/2023 მატჩის ოქმი;
3. კოლხი რაინდები - ჯანი 01/10/2023 მატჩის ოქმი;
4. ჯანი - ზუგდიდი 08/10/2023 მატჩის ოქმი;
5. ჯანი - მეკობრეები 27/10/2023 მატჩის ოქმი;
6. აიეტი -ჯანი 05/11/2023 მატჩის ოქმი;
7. სრკ-ს მარეგისტრირებელის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის 19/03/2023 წერილი (ელ.ფოსტა)

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ჩოხატაურის „ჯანი“-ს მენეჯერმა, მალხაზ ჯინჭარაძემ დაადასტურა, რომ საითინგში აღნიშნულმა მოთამაშემ იოსებ ფირცხალაიშვილმა, მიიღო მონაწილეობა საითინგში აღნიშნულ თამაშებში. მალხაზ ჯინჭარაძის განცხადებით მან სრკ-დან აიღო იოსებ ფირცხალაიშვილის ლიცენზია. სადისციპლინო კომისიის კითხვას თუ „რატომ არ დაარეგისტრირა მოთამაშე სრკ-ს მიერ დადგენილი წესით“, მალხაზ ჯინჭარაძემ ვერ გასცა პასუხი.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა

1. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელის, როლანდ ჩაჩავას საითინგი - ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელის, როლანდ ჩაჩავას განცხადებით, მიმდინარე სეზონის განმავლობაში, 5 თამაშში-ჯანი - ფენიქსი 09/09/2023; კოლხი რაინდები - ჯანი 01/10/2023; ჯანი - ზუგდიდი 08/10/2023; ჯანი - მეკობრეები 27/10/2023; აიეტი -ჯანი 05/11/2023, ჩოხატაურის „ჯანი“-ს შემადგენლობაში თამაშში მონაწილეობა მიიღო არარეგისტრირებულმა მოთამაშემ იოსებ ფირცხალაიშვილმა.
2. სრკ-ს მარეგისტრირებელის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის წერილი (ელ.ფოსტა) - ამ სეზონის დაწყებამდე, სარეგისტრაციო პერიოდში: 27/07/2023 თარიღით, სამტრედიის

ფენიქსმა დაარეგისტრირა იოსებ ფირცხალაშვილი (განთავისუფლება, ტრანსფერი, რეგისტრაცია, კონტრაქტი იხილეთ დანართში) იოსებ (სოსო) ფირცხალაშვილი 2023-24 სეზონში აღინიშნება ჩოხატაურის ჯანის 5 სათამაშო ოქმში:

09/09/2023: ჩოხატაური - სამტრედია: 11 იოსებ ფირცხალაიშვილი
01/10/2023: ფოთი - ჩოხატაური: 13 სოსო ფირცხალაშვილი
08/10/2023: ჩოხატაური - ზუგდიდი: 11 სოსო ფირცხალაშვილი
27/10/2023: ჩოხატაური - მეკობრეები: 15 სოსო ფირცხალაშვილი
05/11/2023: ვანი - ჩოხატაური: 15 სოსო ფირცხალაშვილი
აქვე ვადასტურებ რომ ჩოხატაურის ჯანს არ დაურეგისტრირებია იოსებ (სოსო) ფირცხალაშვილი;

სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების და მხარეთა განცხადებების შესახებ და გამოარკვია:

1. ფოთის „კოლხი რაინდები“-ს მწვრთნელის, როლად ჩაჩავას საითინგი აკმაყოფილებს სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 9.21[1] პუნქტის **(თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის თამაშში მონაწილეობის სავარაუდო ფაქტის შემთხვევაში, პიროვნებებმა წერილობით უნდა მიმართონ, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და მხარდამჭერი მონაცემები ტურნირის/მატჩის ორგანიზატორს და/ან სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს : ა) კონკრეტული შეჯიბრების რეგულარული ჩემპიონატის (ბოლო ტურის) დამთავრების თარიღიდან 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში.**) პირობებს, კერძოდ : სრკ-ს სადისციპლინო სამსახურში საითინგი შემოვიდა 2024 წლის 19 მარტს, ხოლო სრკ-ს მიერ ორგანიზებული რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის თარიღია 30-31/03/2024.
2. ჩოხატაურის „ჯანი“-ს მენეჯერის, მალხაზ ჯინჭარაძის განცხადება იმის შესახებ, რომ მან სრკ-ში აიღო მოთამაშის (იოსებ ფირცხალაიშვილი) ლიცენზია, სადისციპლინო კომისია განმარტავს - სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 4.2 პუნქტის მიხედვით **„მოთამაშეთა ლიცენზირება დაშვებულია მხოლოდ სრკ-ს მიერ დადგენილი წესით მოთამაშეთა რეგისტრაციის შემდეგ.“.** სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 4.2 პუნქტიდან გამომდინარე ჩოხატაურის „ჯანი“-ს მენეჯერს მოთამაშე უნდა დაერეგისტრირებინა სრკ-ს **„რეგულაცია მოთამაშეთა სტატუსი, კონტრაქტები, ტრანსფერი და რეგისტრაცია. 2023-2024 სათამაშო სეზონი“-თ** დადგენილი წესით, როგორც მან ეს გააკეთა ჩოხატაურის „ჯანი “-ს სხვა მოთამაშეების რეგისტრაციის შემთხვევაში.

სადისციპლინო კომისიამ დაადგინა

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობის შემდეგ, კომისიამ დადგენილად ცნო:

1. 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის რეგიონალური ლიგის (დასავლეთი) მატჩებში: **ჯანი - ფენიქსი 09/09/2023, კოლხი რაინდები - ჯანი 01/10/2023, ჯანი - ზუგდიდი 08/10/2023, ჯანი - მეკობრეები 27/10/2023, აიეტი -ჯანი 05/11/2023** - ჩოხატაურის „ჯანი“-ს შემადგენლობაში თამაშში მონაწილეობა მიიღო არარეგისტრირებულმა მოთამაშემ, იოსებ ფირცხალაიშვილმა.
2. არარეგისტრირებული მოთამშის თამაშში მონაწილებით ჩოხატაურის „ჯანმა“ დაარღვია სკრ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი#3-ს - „**ფიქსირებული სანქციები - 2. თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშის მონაწილეობა თამაშში.“** პუნქტი, რომლის დარღვევისთვისაც ამავე პუნქტით გათვალისწინებულია ფიქსირებული სანქციები. კერძოდ : „დამრღვევ გუნდს,

ჩაეთვლება წაგება ყველა იმ თამაშში რომელშიც მონაწილეობა მიიღო თამაშის უფლების არ მქონე მოთამაშემ და დააკლდება 5(ხუთი) საცხრილო ქულა. ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვლება მოგება, მიენიჭება შესაბამის შეჯიბრში შესაძლო მოსაპოვებელი ქულების მაქსიმალური ოდენობა და ანგარიში დაფიქსირდება 30:0 მის სასარგებლოდ.“ და „ჭაბუკთა და რეგიონალურ ლიგებში - 500(ხუთასი) ლარით. ალტერნატიული სანქცია (ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში), 2 (ორი) საცხრილო ქულის დაკლება“

დადგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით, სადისციპლინო კომისიამ მიიღო

გადაწყვეტილება

1. **09/09/2023** გამართულ მატჩში ჩოხატაურის „ჯანი“-სა და სამტრედიის „ფენიქსს“ შორის, ჩოხატაურის „ჯანს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით. ხოლო სამტრედიის „ფენიქსს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი (5 საცხრილო ქულა) მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ;
2. **01/10/2023** გამართულ მატჩში ფოთის „კოლხი რაინდები“-სა და ჩოხატაურის „ჯანს“ შორის, ჩოხატაურის „ჯანს“ დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
3. **08/10/2023** გამართულ მატჩში ჩოხატაურის „ჯანი“-სა და ზუგდიდის „ზუგდიდს“ შორის, ჩოხატაურის „ჯანს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით. ხოლო ზუგდიდის „ზუგდიდს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი (5 საცხრილო ქულა) მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ;
4. **27/10/2023** გამართულ მატჩში ჩოხატაურის „ჯანი“-სა და ბათუმის „მეკობრეებს“ შორის, ჩოხატაურის „ჯანს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით. ხოლო ბათუმის „მეკობრეებს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი (5 საცხრილო ქულა) მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ;
5. **05/11/2023** გამართულ მატჩში ვანის „აიეტი“-სა და ჩოხატაურის „ჯანს“ შორის, ჩოხატაურის „ჯანს“ ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 5(ხუთი) საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით. ხოლო ვანის „აიეტს“ ჩაეთვალოს ბონუსქულიანი (5 საცხრილო ქულა) მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ;
6. ჩოხატაურის „ჯანი“-ს მხრიდან ფულადი ჯარიმის 7 კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში, ჩოხატაურის „ჯანს“ რეგიონალურ ლიგაში დამატებით დააკლდება 10(ათი) საცხრილო ქულა.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	25/03/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]